

# ქსომაბრუნი

№11



1 9 3 6 5



პროლეტარებთა ყველა ჰყენისა, შვერთით!

# „თქმთმებელი“

სამ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და სამ. განსახკომ-  
ისი პრეტორიული ორგანო

№ 11  
ნოემბერი  
1936 წ.

წელიწადი მ-10

სამ. კ. კ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტი“  
რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34,  
ტელ. №-3-02-61

## შ ი ნ ა ა რ ს ი

|  |                  |
|--|------------------|
| 1. გიორგი კაპაჩიძე, — მოსკოვი (ლექსი) . . . . .                        | 1                |
| 2. კლავდია დედვარიანი, — სისხლი (მოთხრობა) . . . . .                   | 1                |
| 3. იოსებ გრიშაშვილი, — დედის დარიგება (ლექსი) . . . . .                | 3                |
| 4. ქსენია სიხარულიძე, — მოკლე შარვალი (მოთხრობა) . . . . .             | 4                |
| 5. გიორგი კალანდაძე, — გივის წერილი ესპანელ ბავშვებს (ლექსი) . . . . . | 6                |
| 6. ლავრენტი კიკინაძე, — გაქცეულა (მოთხრობა) . . . . .                  | 7                |
| 7. მიმჭრალი, — გულინარის და ფისოს ამბავი (ლექსი) . . . . .             | 9                |
| 8. შალვა თაბუკაშვილი, — შარიკის ოინი (მოთხრობა) . . . . .              | 10               |
| 9. ალიოშა ჯაფარიძე, — სურათი (ლექსი) . . . . .                         | 12               |
| 10. ილია სიხარულიძე, — ოქტომბრელების სიმღერა (ლექსი) . . . . .         | 12               |
| 11. ერეშია ასტვაცატუროვი, — პუშკინის ცხოვრება (წერილი) . . . . .       | 13               |
| 12. ალ. პუშკინი, — საქართველოს მთებს (ლექსი) . . . . .                 | 16               |
| 13. შალვა მარინაშვილი, — რა შეეშთა მონადირეს აფრიკის ტყეში 16          |                  |
| 14. გ. ლომთათიძე, — ავაზაკების ზვედრი (იგავი) . . . . .                | გარეჯანის IV გვ. |

ჟურნალი დასურათებულია ი. ქოქიაშვილის, ვ. გვეტაძისა და  
გ. კახიძის მიერ.

პ/მგ. რედაქტორი: ბაბო ზაზიაშვილი      პ/მგ. მდივანი: ლ. ზინინაძე



**გიორგი კახაბიძე**

ქუჩა ქუჩას ცვლის და მზიბლავს,  
მოედანს ცვლის მოედანი.  
ხმაურია, და მაოცებს  
ამ ქალაქის სიგრძე, ვანი,  
ხმაურია და ყოველ მხრივ,  
ვით მდინარე, ხალხი მიდის,  
დასასრული გზას არ უჩანს,  
ქალაქია მეტად დიდი.  
ცას სიმაღლით ბევრგან სწვდება  
შენობები თეთრი, რუხი.  
აქ თუ გინდა რაზე ნახო,  
გივარგოდეს უნდა მუხლი.  
ფართო ქუჩებს ამშვენებენ  
ხეივანები ხეთა მწკრივით,  
მტვერი არ დვას, ასფალტია,  
ყველგან სუფთა, ყველგან მკერივი.

ხიდან მიხვალ, გემებს ნახავ,  
წყალს მღუმარეს და უწყინარს.  
მალა მზეა, მზეა ირგვლივ  
და მიწის ქვეშ მეტრო ბრწყინავს.  
არ იქნება, სიყვარულით  
გული რომ არ აგიძვრდეს,  
რა ჩაუვლი, რა შეხედავ  
დიდი კრემლის მაღალ კედლებს.  
დაჩინებით გწამს და იცი:  
მთელი ქვეყნის გული იქ ძვრს,  
რომ კრემლიდან ეფინება  
ხალხს ბელადის ხმა და სიბრძნე.  
გზას ვაგრძელებ... კვლავ ყოველ მხრივ,  
ვით მდინარე, ხალხი მიდის,  
და გარემოც კვლავ მარწმუნებს:  
ქალაქია მეტად დიდი!

**სოსხლი**



**კლავდია დედარინა**

ოქტომბრის ცივი დღე იყო.  
ნადრევად დაწყებულ ზამთარს უკმა-  
ყოფილოდ ეგებებოდა ხალხი.  
დიდი ქალაქის ქუჩებში არც ისე ხში-  
რი იყო მოძრაობა. აუტილებელი სა-  
ქმისათვის თუ დაინახავდით გამოსულ  
მგზავრებს, რომელნიც სიჩქარით და სი-  
ფრთხილით მიდიოდნენ.  
კატერინაც სიფრთხილით გამოვიდა სა-

ხლიდან, ხელში თანა. პატარა ირინა  
ეჭირა. გამოსვლისთანავე ქუჩა მოათვა-  
ლიერა, თვალი შეეწვლო რამდენიმე გა-  
ჩქარებულად მიმავალ მგზავრს. ჩქარი  
ნაბიჯით გადაქრა ქუჩა.  
შიშნის გამოეგდო გარეთ კატერინა  
თავისი პატარა გოგონათი, პურზე მიდი-  
ოდა კატერინა, ვედარ გაუძლო ავადმყო-  
ფი ქმრისა და მშვიერი ბავშვების ცქერას.



ფურნესთან, საიდანაც ცხელი პურის სუნი გამოდიოდა, გრძელი რიგი იყო. ფეხების ბაკუნით ელოდნენ ისინი თავიანთ ჯერს. კატერინამაც დაიკავა თავისი ადგილი.

— დედილო, მოგვცემენ პულს? — ეკითხებოდა პატარა ირინა დედას, თან თვალს არ აცილებდა პურის გამყიდველს. შშიოდა პატარას, სასურველი პურის ნაჭერი მეტად იზიდავდა მას.

— მოგვცემენ, შვილო, მოგვცემენ, — ამშვიდებდა დედა პატარას, თან ხუჭუჭი თმების კულულულებს უმაღლავდა შალში.

— მამას შია, ბავშვებს შია, ჩვენ იმათ წაუღლებთ პულს, ალა, დედა?

— კი, შვილო, წაუღლებთ, — ყველას წაუღლებთ. — პურის რიგი თანდათან დიდდებოდა, ადამიანთა დამშფოთლი ნახევები, სურვილით აღსავსე თვალები, მოუთმენლად ელოდნენ თავიანთ რიგს.

ახლო უბანში გაისმა სროლის ხმა. ხალხი შეტორტმანდა, შიშით მოათვალიერა მიდამო.

— ქალაქში თეთრები შემოვიდნენ, თეთრები! მსწრაფლ გაისისინა შემზარავმა ხმამ ხალხს შორის.

ქუჩაში გახშირდა სროლის ხმა, აჩქარებული ნაბიჯით გარბოდნენ დამფრთხალი ადამიანები.

შეტორტმანდა პურის მოთმინებით-მოლოდინე რიგიც. ისინი სიჩქარით

მიიწევდნენ წინ, დამფრთხალი თვალებით ათვალიერებდნენ გარემოს.

— ჩქარა, ჩქარა! — ისმოდა მოუთმენელი ხმები. დიდი იყო სიკოცხლის დაკარგვის შიში, მაგრამ შიშშილის აჩრდილი, რომელიც ყოველ მათგანს თავს დასტრიალებდა, არც ისე ადვილი მოსაცილებელი იყო.

კატერინამ მაგრად მიიკრა გულზე თავისი გოგონა. წამი — და აიღებდა სასურველ პურს, არ უნდოდა შშიერი დაეტოვებინა თავისი პატარა ირინა.

— დედა, ლა იყო? — ეკითხებოდა დედას ირინა, დამფრთხალი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— არაფერი, შვილო, არაფერი, — სწრაფად უთხრა დედამ მიღებულ პურს ხელი დასტაცა.

— მომე, დედიკო, მე წამოვიღებ. — ირინამ გულზე მიიკრა სასურველი პურის ნაჭერი.

— უ, ლა თბილია, გავთბი, — ღიმილით თქვა ირინამ. დედა ყურს აღარ უგდებდა შვილის ტიკტიკს, უნდოდა ჩქარა გადაეჭრა ქუჩა, რომელზედაც ახლა თქარათქურით მოდიოდა თეთრების ცხენოსანი რაზმი. სროლა თანდათან ხშირდებოდა, ქალაქი ეხვეოდა შაშხანების კომლში.

კატერინამ მაგრად მიიკრა გულზე თავისი გოგონა, თითქოს სურდა მისი სიკოცხლე თავისი სხეულით დაეფარა. სირ-

ბილით გადაჭრის ამ გზას და უკვე სახლში იქნება.

ირინაც შეშინებული მიჰკროდა დედის მკერდს. პურის თბილი ლუქმა, რომელიც პირში წასაღებად ჰქონდა გამზადებული, ხელში გაშეშებოდა.

— ვაიმე, დედა! პული?! — შეჰყვირა პატარა ირინამ. პაწია ხელი უცებ მიიკრა მკერდზე, თითებს შუა ამონაჩქეფმა სისხლმა შეღება პურის ნაჭერი, რომელიც ასეთი მხიარულებით მიჰქონდა ირინას შინ. პატარა ირინა ჩვარივით გადაეკიდა დედის მკლავს.

აკანკალებული კატერინა კვლავ მაგრად იკრავდა გულში ჯერ ისევ თბილ გემს შეილისას. ხედავდა დედა, როგორ იღებებოდა მისი გოგონას უმანკო სისხლით მისთვის საკმელად გამზადებული

პური. მან გაგიყვებული თვალები მხოლოდ ვლო მიდამოს, ჩაიჩოქა შეიღებათ და თად დააღერსით ჩასტურჩულა მას:

— ირინა ჩემო გოგონა! აჰა, პური წაუღე მამას, ჰამე შენც, ჩემო პატარა, — ცრემლების ნიაღვარი მოსჩქეფდა დედის განწირულ სახეზე. სისხლი, მისი გოგონას სისხლი უფარავდა ხელებს.

კატერინამ ტორტმანით წამოიწია, სისხლში მოსვრილი ხელები წინ გაიშვირა, საშინელი ხმით შეჰკივლა.

— სისხლი! სისხლი! აჰა, ჩემი გოგონას უმანკო სისხლი!! — კვლავ თავის გოგონას მიუბრუნდა, აღერსით მიუტანა გაფითრებულ ბაგეებთან პურის ნაჭერი, თან ჩუმად ჩასტურჩულა:

— აჰა, ირინა! შენ ხომ გშია? ჰამე, ჩემო პატარა, ჰამე!!



### იოსებ გრიშაშვილი

ერთმა მელამ ბაჭიები მიიტყუა ჩუმად, ნელად და ის იყო მოეშხადა ბაჭიების შესაქმელად,

რომ ჯურღღელი გაჩნდა უცბად, თავს დაეცა ქურდის კერას და შვილები გამოსტაცა უქნარას და გაიძვერას.

— ხომ ყველანი ცოცხლები ხართ? — შეესიტყვა დედა შვილებს, —

ო, რამდენჯერ გარიგებდით, ო, რამდენჯერ გაგაფრთხილეს!

კიდევ კარგი, დროზე გავჩნდი, გამითენდა დღე კეთილად. დღეს რაც მოხდა, პატარებო, დარჩეს მწარე გაკვეთილად.

მტერს ადვილად ნუ ენდობით, ცბიერია, ყალბი ფლიდი, — საჭიროა მკაცრი ბრძოლა და სიფხიზლე დიდი, დიდი.

# მოკლა შარვალი



## ძენინი სინარულიძე

(გუძღვნი პატარა ბადრი გოძიაშვილს)

დილის შვიდი საათია. თეთრად აბუმ-  
ბულებულ ლოგინში წამომჯდარა ბუთ-  
ხუზა ბადრი; ზანტად იფშენეტს ნამძინა-  
რვე დიდრონ ცისფერ თვალებს. ოთახში  
ვერავის ხედავს და ხმაგაბმით იძახის:

— დედი, დედი!

შეოვო ოთახიდან დედა გამოეხმაურა.

— დედი, გავიღვიძე, შემხედე, რამო-  
ღვნა ვარ! გუშინ ხომ მითხარი, ხვალ  
ოთხი წლის იქნებიო.

დედა შემოდის და ვალერსება თავის  
ბიჭიკოს.

— ახლა ხომ უფრო დიდი ვარ, გავი-  
ზარდე, არა? შამას ტოლი ვარ, — გვიკვი-  
კება დედას ლოყვბდაწითლებული ბა-  
დრი და კისერზე ეხვევა.

— შო, შვილო, ახლა უფრო დიდი ხარ  
და უნდა ჭკვიანად იყო.

ცელქი ბიჭუნა ხტუნობს აბუმბულე-  
ბულ ლოგინში, დედას არ აცლის ტანთ

ჩაცმას. დედა ფეხსაცმელების ახალგადა-  
დაიხარა, ბადრიმ ისკუპა ლოგინიდან და  
ფეხშიშველი თავისი კუთხისაკენ გაექანა.  
იქ ახალი საჩუქრები ელოდება. დედამ  
ფეხსაცმელები ჩააცვა. ბადრიმ კუთხეში  
უწესრიგოდ მიყრილ სათამაშოებს თვალი  
გადაავლო და სინარულით წამოიძახა:

— თოფი! — აიღო მაგიდიდან ახალ-  
ნაყიდი სათამაშო თოფი, გაიჭრა აივან-  
ზე და მოჰყვა მიზანში სროლას. დამიზ-  
ნებულ ადგილს ვერც ერთხელ ვერ მოა-  
ხვედრა, მაგრამ მაინც მეტად კმაყოფი-  
ლია. განიერი მკერდი წინ გამოუშვერია  
და მტკიცე, დინჯი ნაბიჯებით დადის.  
ცდილობს სამხედრო პირს დაემსგავსოს.  
დღეს ოთხი წელი შეუსრულდა, დიდი  
არის. თოფიც აქვს. ნამდვილი ვაჟკაცია!

თოფის სიყვარულით იჯერა გული და  
სამშარეულოს მიაშურა. იქ მისი მეგობ-  
რების სამსპინძლოდ დედა ნამცხვრებს  
ამზადებს.

— დედი! ჩემ მეგობრებს ძველი კოს-  
ტუმით დავხედე?

— არა, ახალ კოსტუმს მოგიტანს მე-  
რავი და მოგრთავ, — უპასუხა დედამ. სწო-  
რედ ამ დროს დაიწკრილა ზარმა. ბა-  
დრი ხტუნვით გაედევნა დედას კარებისა-  
კენ. მკერავმა ლამაზად დაკეცილი ლურ-  
ჯი შალის კოსტუმი შემოიტანა. ბადრის  
თვალეები ვაუბრწყინდა, როცა მებღვაუ-  
რის ფორმაზე შეყრილ ხალათს მოჰკრა  
თვალი. ალტაცებით შეჰყვირა:

— ოჰო, „მატროსკა“! — მაგრამ დაინახა  
თუ არა მოკლე შარვალი, მოიღრუბლა  
და ჯიუტად განაცხადა:



—დღეს დიდი ვარ, მოკლე შარვალს არ ჩაიცვამ; მამა როდის იცვამს მოკლე შარვალს?

—განა შენ ისეთი დიდი ხარ, როგორც მამა? — შენიშნა დედამ. — აბა ჩაიცვი, ნახე, რა კახტა შარვალთა!

—არა, არ ჩაიცვამ, მე გრძელი შარვალს მინდა! — ჯიუტობს ბაღრი. ხვეწნა-მულარას მამამ მოუსწრო და ისიც ჩაერია.

—აბა, ჩქარა, ბაღრი, ჩაიცვი ახალი კოსტუმი, სადაც არის მეგობრები გეწვევიან.

—მამიკო, მოკლე შარვალს არ ჩაიცვამ, მრცხვენია, მე დღეს დიდი ვარ.

ცრემლმორეული ბაღრი, როგორც იქნა, დაითანხმეს ახალი კოსტუმის ჩაცმას.

## II

ზედიზედ წკრიალებს ელექტროზარი. სასტუმრო ოთახი სავსეა ბავშვებით. კუთხის მაგიდა ბაღრისათვის მიძღვნილი საჩუქრებით აივსა: სათამაშოები, კონფეტები, ნამცხვრები, ყვავილები — რა არ მოუტანეს პატარა ბაღრის! ბავშვებს თავს დასტრიალებენ უფროსები; როიალზე უკრავენ საბავშვო სიმღერებს და თან მრავალნაირი თამაშობით ართობენ მათ. პატარების თვალეში სიხარული ციმციმებს. საერთო ზეიმის მიზეზი ბაღრი არა ჩანს მეგობართა შორის: გაბუტული დგას თავის ოთახში, არ უნდა მეგობრებს მოკლე შარვლით ეჩვენოს.

—შვილო, ყველანი მოკლე შარვლებით არიან: მიმიკო, ალექო, თენგიზი, გივი. წამოდი, ნახე, — მიმართა გაჯიუტებულ ბავშვს დედამ.

—ისინი ხომ არ არიან დღეს დიდები, მე ვარ დიდი, — დამაჯერებელი კილოთი იძახის ბაღრი. ბევრი მულარით თავმოებურებულმა დედამ მიატოვა გაჯიუტებული ბავშვი და სასტუმრო ოთახში შევიდა, ბავშვებს სათითაოდ მოუალერსა.

—დეიდა ნორა, სად არის ბაღრი? — მოვუთმენლად იკითხა ცუჯარუმელა ნანამ და მაგიდიდან სათამაშო ტელეფონი აიღო; — აი, მე ავტომატი-ტელეფონი მოვულოცე.


—ეს სათამაშო ტელეფონია, განა მართლა მუშაობს! — წამოიძახა გივიმ და ცხინი სახლის მის მიერ მოტანილი კონფეტებით სავსე ლამაზი ყუთი აჩვენა. ნანამ იწყინა გივის ასეთი საქციელი, გაწითლდა, ლამაზი შავი თვალეები ძირს დახარა. დიასახლისმა აღერსით შეარიგა მეტოქე ბავშვები.

—დეიდა ნორა, ბაღრი რათ არ გამოდის? — კითხულობენ ბავშვები, ეჩქარებათ მეგობრისათვის საჩუქრების გადაცემა. ❊



დროს გაიღო კარები და ოთახში გამარჯვებული სახით შემოვიდა უცნაურად მორთული, მხარზე თოფგადაკიდებული ბაღრი. მისმა შემოსვლამ ბავშვებში საერთო სიცილი გამოიწვია. ოთხი წლის ბაღრის დაბადების დღეს თავისი თავი დიდად წარმოუდგენია და შარვლის ერთ ტოტზე პირსახოცი მიუბნევია ქინძისთავეებით, მეორეზე — ჩაის ტილო.

—შვილო, ეგ რა არის? — ეკითხება დედა. — შარვალი დაეაგრძელე, — დინჯალ მიუგო ბაღრის, მაგრამ ბავშვების ხანგრძლივმა სიცილმა შეურაცხყო და ღრიალი მორთო. პატარა მეგობრები შემოესვენენ საჩუქრებით. ჩქარა ბაღრი ისე გაერთო მეგობრებთან, რომ დედამ შეუშინებულად შემოხსნა სასაცილოდ მიბმული ტილოები. მრავალგვარი გართობისა და თამაშობის შემდეგ მხიარული ბავშვები შემოუსხდნენ ნაირ-ნაირი ტკბილეულით გაწყობილ მაგიდას, შემდეგ თამაშობა გააჩაღეს და კმაყოფილები დაიშალნენ.



გიორგი კალანდაძე

მე ამბავად გამეგონა  
დღემდის მხარე თქვენი,  
თქვენს გმირობას გაიძახის  
დღეს ქვეყანა ვრცელი.

„თქვენს გმირობას გაუმარჯოს,  
კანტაბრიის მთებო,  
სამხრეთელო შევარდნებო,  
მადრიდელო ძმებო!“

დღეს, როდესაც სისხლი ლებავს  
კანტაბრიის ქედებს,  
როცა ბრძოლა ფრონტზე უხმობს  
თქვენს მამებს და დედებს, —

შემდეგ ლექსი გადაწერე  
სამ ფურცელზე, სამად,  
სამი მტრედი გამოზრდილი  
მომიყვანა მამამ.

რესპუბლიკის ყვავილებო,  
თქვენი მოიმედე  
ტფილისელი ბიჭი თქვენკენ  
წერილს ვატან მტრედებს.

თითოს თითო გამოვები  
ფეხზე ფრთხილად, თანაც  
ვცდილობდი, რომ არ სტყენოდა  
ფეხი ფრთოსანს ფრთამალს.

გუშინ გვქონდა ოქტომბრელებს  
ჩვენს სკოლაში კრება,  
თქვენი მტრები ჩვენც ჩავთვალეთ  
ჩვენ საკუთარ მტრებად.

აივნიდან ავაფრინეთ,  
იფრთქილეს უცებ,  
ავგზორდნენ და მიეფარნენ  
ლაქვარდების ფურცლებს.

ჩვენ ჩავთვალეთ ესპანელი  
ფაშისტების წყება  
მშრომელების მოღალატედ  
და მაროკოს მგლებად.

მე ტფილისში დავრჩი ისევ,  
მოწყენილი თითქოს,  
და ამ წუთშიც, აი, ახლა,  
იმ მტრედებზე ვფიქრობ.

სახლში მოველ და კრებიდან  
მომყვა ფიქრი ერთი:  
რომ წერილი მეგობრული  
მომეწერა თქვენთვის.

როგორც სამი ცხვირსახოცი,  
მოფრიალე ცაზე,  
სამი მტრედი გადაიფრენს  
გვადარამას მთაზე.

ღამით ვწერდი თქვენზე ფიქრით  
და იმედით საესე,  
მოვრჩი წერას და წერილი  
დავამთავრე ასე:

და თუ მტერი ტყვიას ესვრის,  
თუ ორს მოჰკლავს მტერი,  
ერთი მაინც გადაუტანს  
მადრიდელებს წერილს.



# ბავშვთა

## ლავრანტი ზინინაძე

### 1.

ძალიან მომენატრა სოფელი, ჩვენ-  
ბური ანკარა წყაროები, მოჩუხჩუხე მდი-  
ნარები, მწვანე კორდები და ხვერდო-  
ვანი მინდვრები. ნეტავ როდის გავინა-  
ვარდებ ჩემებურად ჩემ ტოლ სოფელს  
ბიჭებთან.

ამ უკანასკნელად ბაბუა სოლომონი  
მწერდა:

„ჩემო ვახო, რად დაგავციანდა სო-  
ფელში ჩამოსვლა? ახლა აქ უნდა იყო,  
ყველაფერი ბევრია. ხილით დახუნძლო-  
ლია ხეები. ჩვენ ღორს ექვსი გოჭი ჰყავს,  
სუყველა თეთრია, მათრახებივით მოქნი-  
ლი. ისინი თავიანთ ვარდისფერ მრგვალ  
დინგებს სულ ძუძუებზე უდიტინებენ დე-  
და-ღორს, მოსვენებას არ აძლევენ. მალე  
ჩვენი ფერდელაც ხბოიანი იქნება. მუ-  
ცელი ისე აქვს ჩამოგრძელებული, რომ  
კინაღამ მიწამდის უწევს. ასე რომ შენ  
ჩამოსვლამდის ხბოიანი იქნება“...

აი რატომ მიხარია სოფელში წასვლა.  
მერე მეც გავახარებ ბაბუა სოლომონს  
ჩემი ფრიადოსნობით. ვაჩვენებ გაზეთს,  
სადაც ჩემი სურათია დახატული. შეიძ-  
ლება ბაბუამ მითხრას: რა გმირი შენ  
მყავხარ, გაზეთში რომ დაუხატინხართო.  
მაგრამ არა უშავს, ამაზე ხელათ ვუბასუ-  
ხებ: ფრიადოსანად ვახდომაც საქმეა, სა-  
ამაყოა.

### 2.

მზე ახალი ამოწვერილი იყო და მა-  
ღალი ასწლოვანი ხეებიც დაბურულ  
ფოთლებში ძლივს იჭყიტებოდა. მისი  
სხივები ბალახებსა და ხეების ფოთლებ-  
ზე ცვარს უცნაურად აბრწყვიალებდა.  
მინც რა ლამაზია მინდორში მინის მარ-  
ცვლებივით მიფანტული ბრწყვიალა ცვა-  
რი!

ბაბუა სოლომონის სახლი ხეებში იყო  
ჩამალული და აივანზე ჭრელად იყო შვის-  
გან განათებული.

ყველაზე ადრე ჩვენი მისვლა პატარ  
ფინიამ გაიგო, ყუფა მორთო და ჩვენც  
გამოეჩანა, მომიახლოვდა, მივაძახე:

— ბროლია, ბროლია!

ხმაზე მიცნო და გულზე შემომახსტა  
მერე ბაბუა სოლომონი გამოჩნდა. იგ  
წელში მოხრილი მოეშურებოდა, თოვ  
ლივით თეთრი გრძელი წვერი მკერდს  
ლამაზად ეშლებოდა. მეტი სიხარული  
მწყურჩიტასავით მოგოგავდა. პირველად  
მე ჩამავლო ხელი და გადამკოცნა.

მეც მინდოდა მეკოცნა, მაგრამ რო  
გორ? სახე წვერ-ულვაშით ჰქონდა დაფა-  
რული და პირში ბეწვები შემრჩა. ისე  
იგი მკოცნიდა და მკოცნიდა. ხელი რო  
გამიშვა, ეზოში გავინავარდე. ხალიჩას  
ვით გაშლილ ხავერდოვან მოღზე ჯე-  
ყირამალა გადავედი, მერე გავგორდ  
მოლი დედაჩემის გაკეთებული ლებივი  
რბილი იყო.

— ვახო, აქ წამოდი! — დამიძახა ბაბუა

მეც მაშინვე გავყვი. ჯერ გოჭები მა  
ვენა. ახლოს რომ მივედი, პატარა ბურ  
ვაკები დაფრთხენ და აქეთ-იქით გაიფა  
ტნენ. მერე ძროხასთან მიმიყვანა. ბაბუ  
ფერდელა ზანტად იღვა. იცოხნებ  
და. ჩვენს მისვლაზე ყურიც კი არ გ  
აპანტურა. მისვლისთანავე, გამობერი



ფერდზე დაადევი ხელი, ხბო ფართხა-  
ლებდა, ისე ხტოდა, თითქოს მინდორში  
დანაწარლობდა.

— აი, ხბო როგორ კუნტრუმობს!  
— წამოვიძახე გაკვირვებით.  
— იქნებ ხვალ მართლა მინდორში იხ-  
ტუნოს, — დამამედა ბაბუა სოლომონმა.

3.

რამდენიმე დღე იყო, რაც სოფელში  
ჩავედი, მაგრამ ბაბუას ფერდელას ხბო  
მანც არ ეყოლა. სულ ძუძუებსა და მუ-  
ცელზე ვუსტკეროდი. ჯიქანი თვალდა-  
თვალ ეზრდებოდა, მაგრამ ხბო არსად  
იყო. ბაბუა სოლომონს ყოველდღე  
ახალ-ახალი საყვედურებით ვავსებდი:

— რას მებატიყებოდი, თუ კი ჩვენი  
ძროხა ასე გვიან მოიგებდა ხბოს! მე რძე  
მინდოდა...

— ახლა მალე იქნება, — მაიმედებდა ბა-  
ბუა. მეც ყოველდღე მზის ჩასვლამდის  
ველოდი ხბოს და ყოველდღე მზის ამო-  
სვლამდის, მაგრამ ლოდინი ლოდინად  
რჩებოდა.

4.

ზაფხულის მოწმენდილი ღამეები იყო.  
ვარსკვლავები ბრჭყვიალა კენჭებივით  
მობნეულიყვნენ ცაზე. ისინი უმთვა-  
რო ღამეში რაღაც მკრთალ სინათლეს  
აფრქვევდნენ. უფროსები რომ დაწვენ,  
მეც დაწვევი. ყველამ დაიძინა, ხოლო  
მე კი არ მეკარებოდა ძილი. ერთ გვერ-  
დზე ვერ ვისვენებდი, სულ ვტრიალებდი.  
ღამე კარგახანი იყო გასული. მოულო-  
დნელად ძროხის ფეხების ბაკუნი შემო-  
მესმა. სმენად გადავიქეცი, თავი ბალიშს  
ავაშორე და იდაყვებზე დავვერდნე. ისევ  
ისმის ფერდელას ფეხების ბაკუნი.

„აი, ნამდვილად ხბო ეყოლა ჩვენს  
ფერდელას“, — გავიფიქრე და წამოვხტი,  
გავედი კარში და ძროხისაკენ გავეშურე:  
მინდოდა ხბო ჩემი თვალით დამენახა და  
მერე მენარებინა უფროსებისათვის.

ძირს ჩამოსვლისთანავე შევნიშნე, რომ  
ძროხა ხის გარშემო ტრიალებდა. ახლა



კი ნამდვილად დავრწმუნდი ხბო ჰყო-  
ლია მეთქი და ისევ შინ შევბრუნდი.

— ბაბუა!  
— ჰა, რა იყო! — წამოიძახა მან ძილში.  
— ძროხას ხბო მოუგია.

ისინი მაშინვე გამოცვივდნენ. ბაბუა მი-  
ვიდა ძროხასთან, მაგრამ ხბო არ ჩანდა.

— სად არის ხბო?  
— მანდ იყო, ძროხა სლაქავდა, მგონი  
იქით გაკუნტრუმდა.

— მერე, ვეღარ შეხედე საით გაიქცა?  
— მისაყვედურა მე.

— იქითყენ, იქითყენ, ბაბუა! — მე სულ  
„იქით-იქითს“ გავიძახოდი. ის მაშინვე და-  
ტრიალდა და ეზოში დაიწყო ძებნა, მაგ-  
რამ ხბო ვერ იპოვა.

ბებიამ ლამაზა გამოიტანა, მივიდა ძრო-  
ხასთან, დაუკვირდა და ჩაილაპარაკა:

— აი თქვენ რა გითხრათ, — მერე ხმაძალ-  
ლა წამოიძახა: — სოლომონ ბრძენო, მო-  
დი აქ, ფერდელას ხბო ჯერ არ მოუგია,  
მანდ სად ეძებ. ვახომ როგორ მოგატყუა.

— რას ამბობ, არ მოუგია?! მე კი მოვკ-  
ვედი ამ ღამეში მაგის ძებნით.


— მე არ მომიტყუებია, ალბათ, მომე-  
ჩვენა, — დავიწყე თავის მართლება.

ბებიამ შემატყო, რომ შემრცხვა, და  
ჩემს წასათამაშებლად სიცილით მიმართა  
ბაბუას:

— ბავშვი მოტყუვდა, მაგრამ შენ რაღა  
ოგვიდა, ახალმოგებული ხბო მაგდენს  
როგორ გაირბენდა?!

როგორ მოხდა ეს ამბავი,  
მართალია თუ სიზმარი,  
მე არ ვიცი, მაგრამ სახლში  
დარჩა მარტო გულინარი.  
გაიღვიძა, გამოფხიზლდა,  
ხელავს: მასთან არეინ არის,  
არც დედიკო, არც ბებიკო  
მოალერსე, მომღიმარი.  
ლოგინიდან გადმოცოცდა,  
დაითრია ძირს ზეწარი.  
„იმ ბებიკო-ბებრუხანას  
ჩაუკეტავს ოდის კარი“.  
აიკრემლა, აიბუზა,  
აღარ იცის რა ქნას ახლა.  
აგერ, უცებ ტახტის ქვევით  
ფისუნია დაინახა.  
— ფისო, ფისო, იქნებ იცი,  
სად წავიდა ჩემი დედა?  
— მიავ, ვიცი: კოლექტივში  
ჩაის ბუჩქზე ფოთოლს კრეფდა.  
— ფისო, ფისო, იქნებ იცი,  
სად წავიდა ჩემი ბებო?  
— მიავ, ვიცი, ბადრიჯანს რგავს,  
ბოსტანი აქვს სანაქებო.  
გარეთ მზეა, გარეთ დღეა  
წითლად, ყვითლად მოკისკასე,  
იქ თუთები ტკბილი, ტკბილი...  
აღუბლები სავსე... სავსე...  
გარეთ მზეა, გარეთ დღეა,  
ფართე ეზო, ფართე მარამ უიღვიძარო  
შეხეთ, შეხეთ, კრეფს კრეფებს  
მთელი ბალი დაუფარავს.  
გარეთ მზეა, გარეთ დღეა,  
ძალდი ყვეს და გოჭი ქუვირის,  
გულინარი ფანჯარასთან  
დგას და „ვეე“—ტირის, ტირის.  
„მიავ, მიავ, მიავ, მიავ!  
გამიგონე—მეგობარო...  
იქ, ბუხარში, ქოთნით რძეა,  
შეეხვრიპოთ და გავიხაროთ.  
ვიცეკვოთ და ვიკუნტრუშოთ,  
რას გვიშველის ოხვრა, კრემლი.

აგერ ჯორკო, აგერ სკამი,  
დაესხდეთ, ქოთანს ვსტაცოთ ხელი.“  
კარგი არის კარგი რჩევა,  
სიტყვა ტკბილი, მეგობრული,  
ვის არ უყვარს, ვის არ მოსწონს  
კარგი ენა, კარგი გული.  
ჰო და ასე დამეგობრდნენ  
ფისუნა და გულინარი...  
მე არ ვიცი, ეს ამბავი  
მართალია თუ სიზმარი.  
მაგრამ როცა გულინარმა  
გადახადა ქოთანს ჯამი,  
იმ პირშავმა ფისუნამ  
არ აცალა ერთი წამი.  
ჩაყო თავი ქოთანში და  
სულ შესანსლა რძე და ერბო,  
და გულინარს იმ დოვლათის  
ერთი წვეთიც აღარ ერგო,  
— ეს რა ჰქენი, ამხანაგო?  
გაიფოფხა გულინარი.  
— შე პირშავო, შე მსუნაგო,  
მეგობრობა ეგრე არი?  
მაშ გაჩვენებ ისეთ სეირს,  
თავზე მიწა დაგაფარო!  
დასწვდა ფისოს, მაგრამ ფისო  
შემოახტა ბუხრის თაროს.  
სკამი სკამზე, სკამი სკამზე  
და სულ ზევით—გულინარი.  
მისწვდა კულზე ფისოს, მაგრამ  
საქმე მოხდა შესაზარი:  
გადმოვარდა დიდი ლამბა.  
„ტრახ“—დაიმსხვრა ბროლი მინა,  
ფისომ „სკუპ“—და მაგილიდან  
უსირცხვილოდ შემოსცინა.  
„კაკი-კუკი, კაკი-კუკი“—  
მხიარული მოდის ბებო.  
ბევრი დარგო ბადრიჯანი,  
ბოსტანი აქვს სანაქებო.  
„კაკი-კუკი“—ხის ქოშებით  
უყვარს ბებოს სიარული,  
კალთით მოაქვს კიტრები და  
გულით მშვიდი სიხარული.



„კაკი-კუკი“ „კაკი-კუკი“...

შემოალო ოდის კარი.

— ვაი, ვაი, ჩემი ბრალი...  
ეს რა მოხდა, ეს რა არი?!  
სკამი სკამზე, სკამი სკამზე  
და სულ ზევით — ვუღინარი.  
ცალკე გღია ლამპის ფეხი,  
აღარც რძეა ერთი ცვარი,  
დამსხვრეული ბროლი მინა,  
ძირს ბალიში, ძირს ზეწარი,  
და ბალიშზე ფისუნია  
ტუნს ილოკავს პირმცინარი.

ამ ამბავმა საღამოზე  
სახლში ყველა გააცინა.  
— არ გრცხვენია, ფისუნია?  
გოგოვ, როგორ შეგაცდინა?  
წადი იქით, დამეკარგე,  
არ ეჩვენო ღღეს ჩემს თვალებს! —  
ტუქსავს მამა ქალიშვილს და  
თან იცინის, თან ხარხარებს.  
მე არ ვიცი, ეს ამბავი  
მართალია თუ სიზმარი,  
მაგრამ ახლა სახლში მარტოდ  
აღარ რჩება გუღინარი.



### შალვა თაბუჯაშვილი

(ნამდვილი ამბავი)

1

დიდი ქალაქია ლენინგრადი. იქ აუარებელი  
შვენიერი მალაზიაა. დადის ხალხი ამ მალაზიებ-  
ში, ყიდულობს სხვადასხვა ნივთს. როდესაც  
დაღამდება, ხალხი დაიძინებს, ღამის დარაჯები  
კი შეუდგებიან თავის საქმეს: ისინი ყარაულო-  
ბენ მალაზიებს, რომ ქურდებმა არ გატეხონ.  
მაგრამ ძნელია ღამის თევა. აგერ ჩაქმინა ერთ  
დარაჯს, ეგერ მგორეც თავჩაქინდრულია.

გათენდა. ამოძრავდა ხალხი. აგერ მალაზიის  
წინ ფუსფუსია.

- რა მოხდა? — კითხულობს ერთი.
- ქურდებს გაუტეხიათ მალაზია.
- მერე, დარაჯი სად იყო?
- დარაჯს ჩასძინებია.

ხშირი იყო ასეთი შემთხვევები. ბოლოს  
შოიფქრეს ძაღლები გამოეყენებით მალაზიებ-  
ში სადარაჯოდ. ძაღლთსაშენიდან მოჰყავდათ  
ძაღლები საღამოს და მალაზიებში ტოვებდნენ.

2

შვენიერი ძაღლია შარიკი, აღმზრდელს ძა-  
ლიან უყვარს ის. ერთ საღამოს აღმზრდელმა  
უთხრა შარიკს:

— აბა, შარიკ, წავიდეთ, სამსახურში უნდა  
ჩაგაყენო. აბა შენ იცი, არ შემარცხენო, კარ-  
გად იმსახურე.

ერთ შვენიერ მალაზიაში მიიყვანეს შარიკი.  
ღამეა. მალაზიაში არაინ არის, მაგრამ რა  
გრინდა სულა და გულა, რომ იმ მალაზიაში  
არ იყოს. ვაირობნ-ვაირობინა შარიკმა, აქ და-  
სუნა, იქ დასუნა, გაცენო იქაურობას.

— აბა, შარიკ, აქ დარჩი და არავინ შემო-  
უშვა მალაზიაში, — უთხრა აღმზრდელმა და წა-  
ვიდა. გარფდან დაკეტეს მალაზია. დარჩა შიგ  
შარიკი მარტოდმარტო. ის ყოჩაღია, მას არ  
ჩაქმინება იმ დარაჯივით, ამასწინათ რომ მალა-  
ზია გაუტეხეს.

ასე დაიწყო შარიკმა სამსახური.


3

საღამოა. შარიკის მალაზიაში ხალხი ირევა.  
აგერ ერთი კაცი აქეთ-იქით დადის მალაზიაში,  
ყველაფერს აევირდება, აზვლიერებს. მან იშო-  
ვა დრო და შეუშინველად შიშაღია ერთ კუთ-  
ხეში ფარდის უკან.

მალაზიაში ხალხი შეცოტავდა, მალე უნდა  
დაეტონ კიდეც.

აი, უკანასკნელი შეიღველიც გამოვიდა. ცოტახნის შემდეგ მოვიდნენ შარიკი და მისი აღმზრდელი.

დაკეტეს მალაზია. ჩაუსუქდა შარიკი კართან, შეუღდა თავის სასმასურს...



ერთხანს კართან იჯდა შარიკი, მერე იფიქრა: — მოდი, ერთი, მივიღ-მოვივიღი ამ მალაზიაში, ენახო, ხომ ყველაფერი რიგზეაო.

დაიხრა ერთი მხარე, მეორე, მესამე. ახლა მეოთხე მხარისაკენ გაემართა და უცებ შედგა, აიქოზრა: მან ადამიანის სუნი იიღო.

— ეს რა ამბავია! რა უნდა აქ ადამიანს? აქ ხომ არაფერ არ უნდა იყოს!

გადაბტა შარიკი ღრენით. ხედავს, ვიღაც ასულა მდლდა... უყფევს შარიკი, შეხტება ხოლმე, შავრამ რა ქნას, ვერ სწედება.

ღიდ გაქირეებაშა შარიკი, ბრაზი აღრჩობს. ერთი კი მისწედებოდეს და მერე მან იცის, დაგლევს, სულ ავაი დედას“ აძახებს.

ქურდიც საშინელ დღეშა, შიშით თვალები გაფართოებია, კანკალებს, კბილს კბილზე აცე-მინებს...

— ნეტავი მილიცია მოვიდოდეს! — ნატრობს შიშით თვზარდაცემული ქურდი. უცებ მან ტელეფონს მოჰქრა თვლი.

— მილიციას გამოვიძახებ! — გაიფიქრა მან. შავრამ როგორ მისწედეს ტელეფონს? იწვალა, იწვალა და, როგორც იქნა, გამოიძახა. როდესაც მილიცია მოვიდა, მალაზიაში ქურდის შეტი ფრავინ ნახეს.

— ჩვენ ვინ გამოვიძახებ? — უკვირდით მილიციის მუშაებს.

— მე გამოვიძახებ, მე! — უთხრა მათ ქურდმა, — მიჩნენია თქვენ დამაბატორით, ვიღრე ამ ძაღლშა გამგლიჯოს.

გახარებული შარიკი თავის აღმზრდელს ელოფრებოდა. შარიკის აღმზრდელი საიდანღა ვაჩნდა ამ დროს? როდესაც მილიცია მოვიდა მალაზიაში, შარიკმა არც ისინი შეუშვა, სანამ მისი აღმზრდელი არ გამოიძახეს ძაღლთაშენნიდან.

4

ღენინგრადის ნისლიანი დღე იყო. ვოლოდარსკის პროსპექტზე ხალხი ირეოდა.

ჭრიადოსანი პეტია დედამ მალაზიაში წაიყვანა, იქ უნდა უყიდოს ახალი ტანისამოსი.

მალაზია ხალხით იყო გაჭედლილი.

— დედა, ფოტოაპარატიც მიყიდე. მერე სურათს გადაგიღებ, პა! — ეუბნებოდა დედას პეტია.

— ფოტოაპარატს იენისში გიყიდი, შეილო, შემდეგ კლასშიარომ გადახელო. ახლა კი შინ წავიდეთ.

ამ დროს მოსამა საშინელი ყფვა, და ატყდა ჩოქპოლი. შემოსასვლელ კარებში ძაღლი ჩამდგარიყო და ერთ ამბავში იყო, არც არავის უშვებდა მალაზიაში და არც მალაზიიდან გამოსვლის ნებას არავის აძლევდა. გამოწარებული ყფდა, თვალებს აბრიალებდა, აქეთ-იქით ტრიალებდა...

შარიკს მოსწყუნდა იმ დღეს ძაღლთაშენში, მან უცებ გაიფიქრა:

— სულ ხომ ღამე ვყარაულობ მალაზიის, მოდი დღისითაც ენახო რა დღეშა.

გაიფიქრა და მოუსევა.

შავარდა მალაზიისთან და რას ხედავ: მალაზიაში აუარებელი ხალხი, ზოგს ფენსაცემელი უჭირავს, ზოგს საპალტოც, ზოგს რა და ზოგს რა. აი, ვიღაცები მაკრატლით ჰრიახ საქონელს, ხან ერთს აძლევენ და ხან მეორეს. ფუსფუსებენ, დადიან, ვითომც აქ არაფერიო... დაინახა შარიკმა ეს სურათი და ელდა ეცა.

— მალაზია გაუტეხით ამ უჩინდისობა, მერე რამდენი მოსულა ერთად! რა ვუყო ამდენ ქურდს, რომელ ერთს ვეცე?!

გამწარდა შარიკი, ჩაღდა კარებში და გადაწყვიტა არაფერ არც შეეშვა და არც გამოეშვა.

ხალხი ლელავდა. მალაზიის გამგე ამშვიდებდა მათ:

— ცოტა მოითმინეთ, მოქალაქენო, ძაღლთაშენნიდან გამოვიძახებ ძაღლის აღმზრდელი, მა-

ლე მოვა და თქვენც თავისუფლად წაბრძანდებოთ.

შეშინებული პეტია დედას ეკვროდა და სლუკუნით ეუბნებოდა:

— დედა, რა ვქნათ ახლა? შეგვკვამს ის ძალი! სულ აქ უნდა ვიყოთ!

მაღე მოვიდა შარიკის აღმზრდელი და ძლიერ დაამშვიდა ძაღლი.

მიჰყვებოდა შარიკი აღმზრდელს და უცხოებს უბრალოდ უბრალოდ და დივიკორე და ყველა მაქებდა, თავზე ხელს მისვამდნენ! ახლა ამდენი დივიკორე ერთად და მადლობაც კი არ მითხრეს, პირიქით, გამიწყურენ კიდევ! თქვენი ტირილე, ეს რა უმადური ხალხი ყოფილაო!



### ალიოზა ჯაფარიძე

დახრილი ტოტები ხისა,  
მზე ამოწვერილი ახლად,  
საამო ნიავე მთისა  
და ცელქი ჩიტები მაღლა.

მწვანეა ტყეები, ველი,  
ხეები აჩრდილებს ხაზავს...  
მახარებს მიდამო ვრცელი,  
ასე რომ გაშლილა ნაზად.

ზეიმობს ხალხი და მღერის,  
ბავშვებით აივსო გზა...  
ელვარებს წითელი ფერი  
და ოქტომბრელების ხმა.

და ვამბობ: „არ უნდა იქვი,  
სიკოცხლე ტკბილია, ტკბილი“  
ჩემ წინ დგას ლამაზი ფიქვი  
და მკოცნის ნიავე გრილი.

## ოქტომბრელების სიმღერა

ილია სინარულიძე

ჩვენ, პაწია ოქტომბრელებს,  
გვიყვარს მღერა-სიცილი,  
მზე, ჰაერი გვაჯანმრთელებს,  
თამაში და სირბილი.

რა კარგია ველზე რბენა,  
ყვავილებში ცქრიალი,  
ქრელ პეპლების წამოფრენა,  
ხტუნვა, ცეკვა, ტრიალი!

გვიყვარს სწავლა, ხატვა, ძერწვა,  
ქრა, ხერხვა და შენება,  
გვიყვარს ავტო, ცხენობანა,  
ნავარდი და ჭენება.

ჩვენ, პაწია ოქტომბრელებს,  
გვიყვარს მღერა-სიცილი,  
საქმე უყვარს ამ ჩვენს ხელებს,  
ფეხებს უყვარს სირბილი!

# შაგვრი სტყვის

ო ს ტ ა ტ ა ბ ი

## პუშკინის ცხოვრება

ერემია ასტეპატაშვილი

რუსეთის გამოჩენილი პოეტი ა. ს. პუშკინი დაიბადა 1799 წ. 6 ივნისს, ახალი სტალით. მამის მხრივ პუშკინი ეკუთვნოდა ძველ თავადაზნაურთა წოდებას. ალექსანდრეს დაბადების პერიოდში მისი წინაპრები, ოდესღაც მდიდრები, საკმაოდ ხელმოკლედ იყვნენ. მიატოვეს თავიანთი მეურნეობა სოფლად და დაიწყეს ცხოვრება მოსკოვში.

პუშკინები დიდად სტუმარმოყვარე ხალხი იყო, მათი ოჯახი ყოველთვის სტუმრებით იყო ხავსე. ამ სტუმართა შორის აღსანიშნავია იმ პერიოდში გამოჩენილი მწერლები: დმიტრიევი, კარამზინი, ჟუკოვსკი და სხვა.

პუშკინების ოჯახი მეტად განათლებული იყო. თვითონ მამა ალექსანდრე პუშკინისა დაახლოებული იყო იმდროინდელ გამოჩენილ გენერლებთან, თითონაც სწერდა ხშირად პატარ-პატარა ლექსებს. ალექსანდრეს მამას მეტად მდადარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ბიბლიოთეკა შედგებოდა უმთავრესად ფრანგული წიგნებისაგან. აქ იყო თითქმის ყველა ფროპელი მწერლის წიგნები. ამიტომ ალექსანდრე პუშკინი ბავშვობიდანვე ეცნობა ფროპის ლიტერატურას, ეუფლება ფრანგულ ენას იმდენად, რომ შემდგომ მშობლიურ ენაზე უკეთესად ფრანგულად ლაპარაკობს.

მშობლები პატარა ალექსანდრეს დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, თითქოს არც კი უყვართ თავიანთი ბავშვი. ისინი გატაცებული იყვნენ არისტოკრატიული ცხოვრებით, მთელ დღე და ღამეებს ფუქსავატურ გართობაში ატარებდნენ. ისინი სრულიად არ ფიქრობდნენ თავიანთ ბავშვზე, ალექსანდრე იზრდებოდა როგორც „მივიწყებული“.

თბილი, მიშიღდევი კუთხე, სადაც პატარა ალექსანდრე აღერსა და სიყვარულს გრძნობდა,

დიდდა მარია ალექსანდრეს ასულის ოთახი იყო. დიდდა და აღმზრდელი (ძიძა) ერთადერთი მზრუნველები იყვნენ და პუშკინის აღზრდაში მხოლოდ ამ ორ ადამიანს მიუძღვის დამსახურება. დიდდა პატარა პუშკინს უყვებოდა ძველ ამბებს, მოხუცი აღმზრდელი (ძიძა) კი ხალხურ ზღაპრებს გვირობასა და თავდადებაზე.

ზღაპრების ცოცხალი ენა, რომელიც მდიდარი იყო ხალხის გონებაშიხელობით, მოსწრებული სიტყვებით და ანდაზებით, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მომავალ პოეტზე, უმდიდრებდა მას ლექსიკონს და დიდ მარაგს უქმნიდა ხალხურ თემაზე უკვდავ ნაწარმოებთა შექმნისათვის.

ამიტომ პირველი ძლიერი სიყვარული ხალხური შემოქმედებისადმი პუშკინს თავისი ძიძის არინას მეშვეობით შთაენერგა. პუშკინსაც ამის გამო ძალიან უყვარდა იგი.

პუშკინი ბავშვობიდანვე ძალიან ბევრს კითხულობდა. 8 წლისამ დაიწყო გატაცებით კითხვა. კითხულობდა უმთავრესად ფრანგულ წიგნებს, განურჩევლად და ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე. 11 წლის პუშკინი იმდენად ნაკითხი იყო. იმდენად კარგად იცნობდა კერძოდ ფრანგულ ლიტერატურას, რომ მთელ ნაცნობებს აცვიფრებდა.

პატარა პუშკინი წიგნების კითხვიდან მალე საკუთარ შემოქმედებაზე გადადის. პუშკინს ძალიან უყვარდა ლექსები, და თვითონაც დაიწყო პატარ-პატარა ლექსების წერა, ზამადა თავის საყვარელ ფრანგს პოეტებს.

პუშკინი 12 წლისა იყო, როცა პირველად შევიდა ცარსკოე სელოს (ახლა დეტსკოე სელო) სკოლაში („ლიცეიში“).



ეს სკოლა ახლად იყო გახსნილი გამოჩენილ თავადაზნაურთა ბავშვებისათვის. ამ სკოლას უნდა მოემზადებია აღმაინები დიდი სახელმწიფო თანამდებობისათვის, იგი ნერგავდა მოსწავლეში მეფის უფლებებისადმი მორჩილებას და უფროსებისადმი სამსახურს.

პუშკინს არ იტაცებდა არც სკოლის რეჟიმი და არც ის საერთო განათლება, რომელსაც სკოლა აძლევდა. ის თავისი მისწრაფების იყო. მის ჩინოვნიკ მასწავლებლებს არ შეეძლოთ ნათლად დაენახათ პუშკინის დიდი ნიჭი და მიდრეკილება. პუშკინის დაუინტერესებლობას იმ ძირითად საგნებში, რომელსაც ასწავლიდნენ სკოლაში, მასწავლებლები მისი უნიკობით ხსნიდნენ.

პუშკინი გატაცებული იყო მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატების ნაწერებით, დაუღალავად კითხულობდა მათ და შეძლებისდაგვარად კიდევაც ბაძავდა. პუშკინს დიდად უყვარდა ხელოვნების სხვა დარგებიც. ლიტერაში ყოფნის დროს, როცა კი რაიმე სპექტაკლი გაიმართებოდა ცარსკოე სელოს თეატრში, პუშკინი აუცილებლად იქ უნდა ყოფილიყო.

ლიტერაში ახალგაზრდობის ერთი ნაწილი გატაცებული იყო ლიტერატურით. პუშკინი ამ ახალგაზრდობის საყვარელი მეგობარი იყო. მას თავისი ენამახვილობით, მოსწრებელი სიტყვებით, რომლებიც ხშირად შწარე და გესლიანიც იყო, მოსწავლეთა უმრავლესობა დიდად აფასე-

ბდა, ზოგს კი ამ ენამახვილობისათვის ეგებებოდნენ.

ლიტერატურით გატაცებული პუშკინი და მისი ამხანაგები იწყებენ ლიტერაში ხელნაწერი თურნალების გამოცემას. ექვსი წლის განმავლობაში ათაღდის თურნალი გამოიცა. ამ თურნალების ფურცლებზე ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილი პუშკინის ლექსებს ეჭირა.

ამ ლექსებით ახალგაზრდა პუშკინმა დიდი სახელი მოიხვეჭა არა მარტო თავის ამხანაგებში, არამედ იმდროინდელ გამოჩენილ მწერლებშიც. ახალგაზრდა პუშკინს თავისი პირველი ნიჭიერი ლექსებისათვის ადარებდნენ ახალგაზრდა არწივს, რომელიც უკვე მომზადებულიყო დიდ მწვერვალზე ურთულესი გადაფრენისათვის.

1815 წ. ლიტერაში შემოიღეს საჯარო გამოცემა კლასიდან კლასში გადაყვანისას. გამოცემა, საპატრიოტო სტუმრის სახით, ესწრებოდა მე-18 საუკუნის გამოჩენილი მწერალი პოეტო დერეჟაინი.

გამოცემა დაიწყო... გამოიძახეს პუშკინიც. მალეზი ბავშვი მკვირცხლად გამოხატა წინ, გაბრდა პოეტის ახლოს, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, და დაიწყო თავისი ლექსის — „მოკონებები ცარსკოე სელოში“ — კითხვა. ლექსი დაწერილი იყო დერეჟაინის პატრიოტული ოდების სტილით. პუშკინმა ეს ლექსი ისეთი აღფრთოვანებით წაიკითხა, რომ დამსწრეებში პოეტური ეცხელი დაანთო, მოხუც დერეჟაინს კი ერთგულმა დაუარა და მისმა მთელმა სხეულმა კანკალი დაიწყო, თვალეში ცრემლი მოვიდა. ვეღარ მოიძინა, ათრთოლებული მოხუცი პოეტი მივარდა ბავშვს საკონკრეტოდ. შემკრთალი ბავშვი გაიქცა, დერეჟაინმა კი წამოიძახა:

— აი ვინ შეცვლის დერეჟაინს!

ეს მომენტი უკვდავად აღბეჭდა პუშკინის მესიერებაშიც და საუცხოვოდ იგონებს მას იგი 1817 წელს დაწერილ ლექსში:

— მეფეთა რჩეული მეგობრებ, სახელოვანი მოხუცი გადამხვია აქანკლებული ხელებით და მიწინასწარმეტყველა ბედნიერება ჩემთვის უცნობი.

ამის შემდეგ პუშკინი უფრო უახლოვდება მაშინდელ ცნობილ მწერლებს, რომელთაც თავისი ოჯახიდან იცნობდა — დერეჟაინს, კარაზინს, ყუკავსის და სხვ.





განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა პუშკინის ცხოვრებაში ჩაადევის გაცნობამ. ჩაადევი, მეფის გვარდიის ოფიცერი, თავისი დროის უგანათლებლესი და შესანიშნავი მოაზროვნე იყო. ეს ნათელი გონების ადამიანი მაშინ რევოლუციურად იყო განწყობილი, მის არ აკმაყოფილებდა მეფის მთავრობის საშინელი სუსხიანი რეჟიმი და მისდამი მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

პუშკინი დაუახლოვდა მას, ხშირად ხედებოდა და ესაუბრებოდა.

ჩაადევის საუბრები დიდ შდაბეჭდილებას ახდენდა ახალგაზრდა პუშკინზე, მის განათლებასა და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ჩაადევთან დახლოებით პუშკინი პოლიტიკურად თვალსაჩინოდ გაიზარდა, მასში შემუშავდა დამოკიდებულება მეფის უფლებებისა და ბატონყმობისადმი.

ამაზე მშვენივრად მოგვითხრობს თვით პუშკინი „ჩაადევისადმი“ მიძღვნილ ლექსში და მთელ რიგ სხვა ლექსებში, რომლებიც დაწერა პოეტმა ლიცეის დამთავრების შემდეგ.

სხვა დეკაბრისტებთან კავშირმა კიდევ უფრო გააძლიერა პუშკინში მეფისადმი სიძულვილი. პუშკინმა შექმნა მთელი რიგი პატარა, მაგრამ მახვილი და გესლიანი ლექსები-ეპიგრამები, მიმართული მთავრობის წარმომადგენლების წინააღმდეგ.

პუშკინი არც მეტეს ინდობდა.

მეფის მთავრობაც, ხედავდა რა პუშკინში მუამბობეს, ვერ ურიგდებოდა მის თავისუფალ აზრს და ღვენიდა

ხალხის ტყვილების განცდისა და თავისუფალი აზრისათვის პუშკინი სისტემატურად იღვენიებოდა, მან მთელი თავისი შვეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი გადასახლებაში გაატარა.

ლიცეის დამთავრების შემდეგ პუშკინი სულ სამი წელიწადი არც კი ცხოვრობდა „თავისუფლად“, სულ მალე, 1820 წლიდან, დაიწყო მისი გადასახლებაში ცხოვრების პერიოდი. იგი გადასახლეს ჯერ დღევანდელ დნებროპეტროვსკში, შემდეგ თავისი შშობლების სოფელში, კაკასიაში, ყირიმში და ბესარაბიაში.

მიუხედავად მეფის მთავრობის მიერ ასეთი შევიწროვებისა და ღვენისა, პუშკინის დიდი გენია მაინც სწრაფად გაიფურჩქნა. მან მოხიბ-

ლა მთელი ქვეყანა და უღრდესი სიყვარული დამისახურა თავისი დროის მოწინავე ადავნიებელი რამდენადღ იზრდებოდა პუშკინის სახელი და გავლენა, იმდენად ძლიერდებოდა მეფის ტახტის ერთგულოთა გამაბროტება.

მეფის მოხელეები პუშკინის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ, ისინი დაინტერესებული იყვნენ მის თავიდან მოშორებაში. ამიტომ პოეტის სიკვდილში გარკვეული წილი მეფის მთავრობასაც მიუძღვის.

გაწვალბულმა და სულერად გატანჯულმა პოეტმა 1837 წლის 27 იანვარს ღველში გამოიწვია „უღიდებულესითა“ ერთი წარმომადგენელი — ფრანგი დანტესი. ღველში პუშკინი მძიმედ დაიჭრა და 29 იანვარს გარდაიცვალა საშინელი წამებით.

— „სიკოცხლე გათავებულია, მძიმეა“. ვერც კი დამთავრა მომაკვდავმა პოეტმა თავისი უკანასკნელი სიტყვები, რომ პოლიცია გამოცხადდა და ცხედრის ზედამხედველობა აიღო.

პუშკინის სიკვდილმა უღიდესად შეაშფოთა ხალხი. უთვალავი ნაცნობი და უცნობი მოდიოდა ცხედართან უკანასკნელი გამოთხოვებისათვის, და ეს გამოთხოვება იყო ამავე დროს პროტესტი იმ უსულგულო დამოკიდებულებისადმი, რომელსაც იჩენდა მეფე ფაქიზი გრძნობების ამ დიდი პოეტისადმი.

პუშკინი ენერგიით სავსე იყო, როცა გარდაიცვალა, მას კიდევ შეეძლო მოეცა ბევრი უკვდავი ქმნილება, ლამაზი და წარმატცი ღვესები, პოემები.

მიუხედავად უღროვო სიკვდილისა, მან მაინც მოასწრო ბევრის გაკეთება.

პუშკინის მომხიბლავ ღვესებზე იზრდებოდა ახალგაზრდობა მთელი ასი წლის მანძილზე, მას დიდი გაცატებით კითხულობენ ახლაც საბჭოთა კავშირში და მთელს მსოფლიოში.

ჩვენ დიდ მასწავლებელს-ვლადიმერ ილჩის ძალიან უკვარდა პუშკინი და ხშირად კითხულობდა მის ნაწერებს. დიდად აფასებს მას დიდი სტალინიც.

ამიტომ არის, რომ ასე გაცატებით ვხადებთ ჩვენი ქვეყანა პუშკინის გარდაცვალბებიდან 100 წლის თავის აღსანიშნავად.

უნდა ვიკითხოთ და ვისწავლოთ ჩვენი დიდი პოეტი!



საქართველოს მთებს ღამის ნისლი გადასწოლია,  
და არაგვისა ყურს მოვსმის სიჩქარით დენა,  
იღუმალ სვედას თითქოს შვებაც თან დაჰყოლია,  
კაეშანს მსუბუქს, რომ გველგება მარადეამს შენა...

შენ ერთს-ღა მხოლოდ... ჩემ კაეშანს ვერაა შეაკრობს,  
ვერაა განდევნის, — მის სიმაგრე მტკიცე გულია,  
გულს კი სწყურია სიყვარული, რადგან არადროს  
უსიყვარულოდ იმას ძგერა არ შეუძლია... თარგმანი იანა მანანაძის.

## რა შეამთხვა მონაღიჩს აუჩიკის ზეუბი<sup>1)</sup>

შალვა მარიანიშვილი

(დახასრული)

არ ვეცი, საიდან მომცა იმამად ისეთი ძალა და  
სისწრაფე: ვეფხვისებურ ნახტოშს ვაკეთებდი,  
არაფერს ვერიდებოდი, ერთ ისეთ ღრმა, განიერ  
თბილის გადავახტი, შემდეგ რომ ვნახე, შემუშინ-  
და, როგორ გავებდე მეთქი. უეცრად უკანი-  
დან შემომესმა თოფის ხმა და მას შეუერთდა  
ლომის ღრიალიც. ცოტა ხნის შემდეგ ყველა-  
ფერი მოწყნარდა. მე კი შიში კვლავ წინ მიმე-  
რეკებოდა. აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიბო-  
ნე. ბოლოს, დაღლილ-დაქანცული, ერთ მა-  
ღალ ხეს წავეწყდი, დიდი გაკირვებით ზედ აე-  
ფორთხდი და განიერ ტოტზე ჩამოვეჯექი. სულს  
ძლივს ვიბრუნებდი, მკერდში გული პირდაპირ  
ომობდა და ბაგაბუგი ვაჰქონდა. ყური მიეუღდე,  
არსიდან ხმაურობა ჰრ ისმოდა, ლომიც არსად  
ჩანდა. გამეხარდა, გადაერჩი მეთქი, გავიფიქრე.

დაჭრილი ლომი ფრიალ საშიშია, გაფთრე-  
ბული ყველაფერს ანადგურებს და ყველას მუსტს  
აეღებს. საერთოდ კი ლომი ყველა მტაცებელ  
ნადირზე უფრო კეთილშობილია და გონიერი.  
ადამიანთან პირისპირ შეხვედრას იგი მუდამ  
გაურბის და მხოლოდ მაშინ დაესხმის თავს, თუ  
დაინახავს, რომ მის სიციცხლეს საურთხე მოე-  
ლის. ლომი ძალიან ძლიერია, სწრაფია და გუ-  
ლადი, ამიტომაც მას, სანართლიანად, ნადირთა  
მეფეს ეძახიან. ვერცერთი ნადირი და ცხოვე-  
ლი ვერ უძლებს მისი თათის მძლავრ დარტყმას,  
გარდა სპილოსი და მარტორქი. ერთი დარ-

ტყმით შეუძლია კამეჩი ძირს დასცეს, ცხენს  
ხერხემალი გადაუტეხოს. ათუთიანი მსხვერ-  
პლით პირში შეუძლია სამმეტრიან სიმაღ-  
ლეს გადაახტეს... მე ეს ყველაფერი კარგად ვე-  
ცოდი და ამიტომ იყო, რომ ასე თავდაკარგუ-  
ლად გამოვბოდი.

ლომისგან შეშინებული ხეზე მოწყვეტლად  
ვიჯექი და გონებას ვკრებდი. ქვეით გაღვი-  
ხედე, არემარეს მოვაფლე თვალი: შორი ახლოს  
ერთი ამწვანებელი ხევი მოჩანდა. ხევი ვერ-  
ცხლის ზოლივით მიიკლანებოდა პატარა მდი-  
ნარზე. ჯერ ჩვედაც საშინლად მწყუროდა, მდი-  
ნარის დანახვამ ხომ მოთმინება დამიკარგა, მა-  
გრამ ძალზე დაღლილი ვიყავი და მკირე ხანს  
შესვენება ვამჯობნე.

ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორ მომენახა  
ჩემი ამხანაგები. ამ ფიქრში ვიყავი გართული,  
რომ ზევინდ ვიდაცამ ჯოხი გადამოკრა და  
კისერი ამიწეა. ამ მოულოდნელობამ ისე შემე-  
შინა, რომ კინაღამ ძირს გადამოვეარდი. ზევით  
აიხიედე და ტოტებში პატარა შიშინს მოე-  
კარი თვალი. შიშინი გაჯავრებით მიღრ-  
ქენდა კბილებს და ჯოხით კიდევ ჩემ შე-  
შინებას ცდილობდა. მე ბრაზი მომივიდა,  
მხრიდან სწრაფად გადავიძვრე თოფი და აბე-  
ზარი ნ-შანში ამოვლე. შიშინმა თითქოს იგრ-  
ძნა საშიშროება, საბრალოდ დაიწილა და  
რალაც პატარა სავანი გულზე მიიკრა. დავაკირ-

<sup>1)</sup> დასაწყ. იბ. ჟურ. „ოქტ.“ № 10



დი, ღედის მკერდზე წვილი შევაძინე. თოფი  
 შირს დაუშვი. შემებრალენ, ორივეს სიკო-  
 ხლე ვაზუქე. დედა მიმუნე მინც არ ისვენებ-  
 და, ხიდან ჩემს ჩასვლის დაბეჭითებით მოითხოვ-  
 და. მეტი გზა არ იყო, ამ პატარა არსებებისა-  
 თვის უნდა დამეთმო. ხიდან ჩამოვცურდი. გა-  
 დავდგი წინ რაადენიმე ნაბიჯი და მალლა ავი-  
 ხედე. მიმუნე უკვე მშვიდად იჯდა და აღარ  
 მემუქრებოდა; ხელში რაღაც პრგვალ საყანს  
 ატრიალებდა, ყურადღებით ათვალიერებდა, სუ-  
 ნაუდა და თან მე ნაირ-ხმირად ჩამომხედავდა.  
 მერე ეს რგვალი საყანს გამოაიწოდა და ჩამო-  
 პიგდო. ეს იყო ქოქოსის კაკალი, მშვენიერი და  
 ნოციერი საქველი. საბრალოს, ალბათ, მწიე-  
 რი თუ ვეგონე. პატარა არსების გონიერულმა  
 საქციელმა ჩემი გული მოინადირა. სამეზავრო  
 ჩანთა მოვიქექე, იქ შოკოლადი მეგლეგობდა.  
 რაც მჭონდა ამოვღე და იქვე დავეტოე. რა-  
 საკვირველია, ჩემი წასვლის შედეგ მშვენიერ  
 სანუკვარს დედა შეილი დაეპატონებოდნენ, რ-  
 მღებაც ხიდან ვაფაციკვებით ჩამომყურებდნენ.

ხევისაკენ ვაგსწიე წყლის დასალევად. ათი-  
 ზუთამეტი წუთის შემდეგ ცივ წყალზე ხარბად  
 ვიყავი დაწაფებული. ჯერ კიდევ კარგად არ  
 მოამგლა წყურვილი, რომ ჯოვის ფეხის ხმა  
 შემომესმა. მდინარეს მოვშორდი, ხევიდან ამო-  
 ვედი და დავინახე ანტილოპების ჯოჯი. ეს ლა-  
 მანი ცხოველები ლალად მობტროდნენ და მო-  
 თამაშობდნენ... ანტილოპა ჩვენებური ხარირე-  
 მის ტოლსა, მაგრამ უფრო კობტა და მოქნილი.  
 იგი ღონიერია, სწრაფი და უშიშარი. მისი ორი  
 გრძელი და მახვილი რქა ძლიერი იარაღია მტრის  
 წინააღმდეგ. ამ რქების ღომსაც კი ეშინია.

მე ერთ ხეს ამოვეფარე და თოფი მოვიმარ-  
 გვე. ანტილოპებმა მარად ჩაიბინეს ხევი და  
 წყალს დაეწაფნენ, იმდენი იყვნენ, რომ მთელი  
 მდინარე აივსო. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერ-  
 შოა ნადირმა, რომელიც ფეხბურთით მოიპარე-  
 ზოდა ანტილოპებისაკენ. იგი თითქმის მუცელ-  
 ზე მოსურავდა. ერთორთ ხეზე მარად აღიდა  
 და ტოტზე კატასავით ვაწიე. დავაკვირდი და  
 ვიციანი სიხლისმამელი დაუნდობელი ჯიქი. ჯი-  
 ქი ღომთან შედარებით პატარა ტანისა და სუ-  
 სტი, მაგრამ უფრო საშიშია, ვიდრე ღომი. მისი  
 ტანი მათრახივითაა მოქნილი და სწრაფია, რო-  
 გორც ელევა. მისი შეხვედრა ადამიანთან ფრიად  
 სახიფათოა...

ხეზე ასულ ჯიქს ვერაფერ ვაძინებდას მიუხედი.  
 მას უნდოდა ზევიდან ანტილოპას ბეჭებზე დახ-

ტომოდა. ცნობისმოყვარეობამ დამძლავრა და თოფი  
 თოფი აღარ ვესროლე.

ჩქარა ანტილოპები ხეში ამოიშალნენ. ჯიქ-  
 მა დრო შეიარჩია და ხიდან გადავოშევა, რომ  
 ერთორთ ანტილოპას ბეჭებზე დახტომოდა. მაგ-  
 რამ ანტილოპამ საოცარი სიძვეირსებით მოა-  
 სწრო გვერდზე გადახტომა და თავდაღუნული  
 მიწაზე დამხტარ ჯიქს შემოუტია. ჯიქმა მსხვერ-  
 პლისკენ მეორე ნახტომი ვააკეთა, მაგრამ ანტი-  
 ლოპამ თავის მარდი მოქნევით თავდასხმელი  
 რქაზე წამოავო. ვაისმა ჯიქის გულშეზარატივი  
 ღრიალი. ანტილოპას რქაზე მუცლით წამოიგე-  
 ბული ჯიქი გველეხით იკლავებოდა და გამწა-  
 რებული თათებს ბეჭებში ურტყამდა. გაცეცხ-  
 ლებულმა ანტილოპამ აღარ იცოდა რა ექნა, ბე-  
 ჭებიდან სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა, რქაზე  
 წამოგებულ ჯიქს იქით-აქეთ დააქროლებდა. ბო-  
 ლოს თავი მძლავრად აიქნია და ჯიქი ჰაერში  
 ბურთივით შეისროლა. ჯიქი მიწაზე გაიშლარ-  
 თა, მაგრამ სწრაფად წამოვარდა და ანტილო-  
 პასაკენ გამოექანა. თავდაღუნული ანტილოპაც  
 მისაკენ გადახტა. ჯერ გამოურკვეველი იყო,  
 რომელი გაიმარჯვებდა - ჯიქი თუ ანტილოპა.  
 მე კი მიხდოდა, რომ ანტილოპას გაემარჯვა. თავ-  
 დაღვიწყებით ვაეყურებდი ამ საინტერესო ბრძო-  
 ლას... უცერად ანტილოპა ყალყზე შედგა და  
 თან გვერდზე მიკრული ჯიქი აითრია. ცუდად  
 ჰქონდა საქმე: ჯიქს მისთვის ყელში ვაეყარა  
 კბილები. ყალყზე შემდგარი ანტილოპა ზურგზე  
 გადავარდა და მიწას ფეხები მძლავრად გაუსევა.  
 ჯიქს ველარ ვხედავდი, ანტილოპას ტანი ფარე-  
 და მას. ხეზე ავდდი, რომ იქიდან მესროლა  
 თოფი. ახლა ჯიქს უკვე კარგად ვხედავდი, მაგ-  
 რამ იგი მიწაზე უძრავად ეგდო. მოულოდნე-  
 ლად ხევიდან ერთი დიდი აფთარი ამოძვრა და  
 ფეხბურთით მათკენ გამოემართა... ეს მხდალი  
 ნადირი ბრძოლის შემდეგ გამოჩნდებოდა ხოლმე,  
 რომ სხვისი ნადავლით ისარგებლოს. იგი მუდ-  
 მივი თანამეზავრია ღომის, ვეფხვის და ჯიქისა  
 და მათი ნასუფრალით ირჩენს თავს. არც მძორს  
 იწუნებს და დიდის მადით მიირთმევს. რო-  
 ცა ცალკეა, მხდლია, მაგრამ როცა ორი-სამი შეი-  
 ყრებიან, ძალიან თავხედი ხდებიან და თავს ესხ-  
 მიან როგორც ცხოველებს, ისე ადამიანებსაც...

აფთარი ანტილოპას მივარდა და ჯიქგან დაუ-  
 წყო. თავხედი ნადირი ნიშანში ამოვიღე. ვავარ-  
 და თოფი, აფთარი ჰაერში შეტრიალდა და  
 მიწაზე უსუსლოდ ვავარდა. ჩემ თავს ვამარჯვე-

მა მივულოცე. ხიდან ჩამოველ, ყოველი შემთხვევისათვის ხანჯალი გავიძიე და ახლოს მივედი. ანტილოპა და ჯიქი, როგორც ორი მებრძოლი, ერთმანეთის წინ მკედრები ეყარნენ. იქვე გვდო თავგახერხებული აფთარი.

უკანიდან ფეხის ხმა შემომესმა და ჩქარა ჩემი სახელიც გავიკონე. გახარებული ამხანაგები მომიახლოვდნენ. მათ ჯიქის ღრიალი გაეგოთ და ღოფის ხმაზე წამოსულიყვნენ. როცა დახოცილი ნადირები ნახეს, გამარჯვება მომილოცეს, მხოლოდ ეს უკვირდათ: თითქოს თოფი ერთხელ გავარდა და ერთი გასროლით სამი როგორ

დახოცაო? ხანჯალი რომ ხელში დამინახეს, ერთმა დასძინა: ალბათ, ხანჯლით თუ დახოცაო.

მე ხმას არ ვიღებდი და ჯერ კიდევ საშინელი ბრძოლის შთაბეჭდილებით ვიყავი. ამხანაგებმა გადამომცეს მათ მიერ ლომის მოკვლის ამბავი...

ერთი საათის შემდეგ ხის ჩრდილში ანტილოპას გემრიელ მწვადებს შევეჭკოდი და თან ცოც ანკარა წყალს ვაყოლებდით. ამით დასრულდა იმ დღეს ჩემი ნადირობა, — დამთავრა ჩემმა მეგობარმა.

### პეპეაპების ხვერი

გ. ლომთათიძე.

(იგ ა ვ ი)

სამი ავაზაკი იყო: ქაიხოსრო, გლახუნ და ელიზბარი. ერთ დღეს საავაზაკოდ წავიდნენ. მშვიდობიანი ოჯახები აიკლეს, მგზავრები დაძარცვეს და ერთი ხურჯინი ოქრო-ვერცხლი იშოვეს. შინისაკენ წამოვიდნენ, იარეს, იარეს და ერთ მინდორზე შეისვენეს. უნდოდათ აქ გაეყოთ ნაძარცვი ქონება. თან ამ დროს ძალზე მოშივებულია იყვნენ. გადაწყვიტეს ჯერ ეჭამათ რაიმე და მერმე გაეყოთ ქონება. კენჭი ყარეს — ვინ უნდა წასულიყო ბაზარში საჭმლის მოსატანად. ელიზბარს ვრგო. ადგა და წავიდა. ამათ კი ოქროებს უყარაულეს.

ელიზბარი რომ თვალთ მიეფარათ, ქაიხოსრომ გლახუნს უთხრა:

- იცი, რა გითხრა?
- რა?

— ეს ქონება რომ სამის ნაცულად ორად გავყოთ, უფრო მეტი შეგვხვდება... ჯანდაბას მისი თავი და ტანი... მოდი, მოკლათ, რომ დაბრუნდებო!

ეს გეგმა გლახუნს მოეწონა. სიხარულით ელოდებიან ელიზბარის დაბრუნებას. ელიზბარი კი ამ დროს ბაზრისაკენ მიმავალი თავისთვის ფიქრობდა:



და: „ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი! ის იმოდენა ქონება სამად არ გავყოთ, ის არა ჯობს მე მარტოს დამრჩესო?!“

ბაზარში შევიდა, იყიდა საჭმელები. მეწვრილმანესთან შეიარა. დიდ ფასად საწამლავი იყიდა. გამობრუნებულმა გზაზე საწამლავი საჭმელებში აურია.

ელიზბარი გზაში იჩქარის: უნდა მალე მიაღწიოს ამხანაგებთან.

გლახუნი და ქაიხოსრო სულწასულნი მოელიან ამხანაგის გამოჩენას.

ელიზბარი რომ გამოჩნდა, უცბად იქეჩა თოფმა, და ელიზბარი უსულოდ დაეცა დედამიწაზე.

ორმა ამხანაგმა საჭმელები ვახსნა. თითო ლუკმა რომ შექამეს, — ერთი აქეთ წაიქცა უსულოდ და მეორე იქით.